დამტკიცებულია
სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორის 2026 წლის 29 იანვრის №9 ბრძანებით

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტში ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულება

1. კონკურსის საგანი

1.1. ვაკანტური სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანამდებობების:

- ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების უფროსი ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის **უფროსი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
- მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის საბადოთა დამუშავების და გეოტექნიკის ლაბორატორიის **უფროსი მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
- მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და სამთო ტექნოლოგიების ცენტრის ანალიზური ქიმიისა და წიაღისეულის გამდიდრების ლაბორატორიის **მთავარი მეცნიერი თანამშრომელის, მთავარი ტექნოლოგის** (ერთი საშტატო ერთეული);
- ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების ფეთქებადი ნივთიერებების სინთეზის, ექსპერტიზის და აფეთქების ტექნოლოგიების ლაბორატორიის **უფროსი მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
- ფეთქებადი მასალების ექსპერტიზის, აფეთქებისგან დამცავი სტრუქტურების და მაღალტექნოლოგიური კომპოზიტების განყოფილების პოლიმერული კომპოზიტების და მაღალტექნოლოგიური მასალების ლაბორატორიის:
  ა) **უფროსი მეცნიერი თანამშრომელის** (ერთი საშტატო ერთეული);
  ბ) მეცნიერი თანამშრომელის (ერთი საშტატო ერთეული);
- საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების და პროექტირების ცენტრის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ლაბორატორიის **მეცნიერი თანამშრომელის** (არასრული საშტატო ერთეული).

დასაკავებლად, ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრ „დელტა“-ს გენერალური დირექტორის №21 (18.02.2016) ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის წესდების“ და სსიპ სსსტც „დელტა“-სთან (წერილი №MOD 7 26 00056815, 20.01.2026 (შემ.№37, 20.01.2026)) შეთანხმებული და სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №2, 20.01.2026) დამტკიცებული „საშტატო განრიგი და ხელფასის ფონდი“-ს, შესაბამისად, აცხადებს ღია კონკურსს. კონკურსის პირობები და ჩატარების ვადები ასახულია ბრძანებაში.

1.2. ღია კონკურსის პრინციპებიდან გამომდინარე, საჯარო გაცნობისათვის, განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად შერჩეული ორგანიზაციის/ორგანიზაციების და ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე.

1.3. გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია დაინტერესებული პირებისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

2. საკონკურსო კომისია

2.1. ვაკანტური სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო (შემდგომში „სამეცნიერო საბჭო“).

2.2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

2.3. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

2.4. სამეცნიერო საბჭო სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ირჩევს ფარული კენჭისყრით.

2.5. სამეცნიერო საბჭო სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტს ირჩევს ღია ან ფარული კენჭისყრით.

2.6. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და წევრები.

2.7. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმში შეტანილი უნდა იქნეს სხდომის მიმდინარეობის პროცესში ყველა გამოთქმული მოსაზრება და წინადადება.

3. კონკურსის სამდივნო

3.1. არჩევნების ორგანიზების მიზნით სამეცნიერო საბჭო ქმნის კონკურსის სამდივნოს (შემდგომი „სამდივნო“) და განსაზღვრავს სამდივნოს თავმჯდომარეს.

3.2. სამდივნოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3 მაინც. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

3.3. სამდივნო ამუშავებს ელექტრონულად შემოსულ და ადამიანური რესურსების და საქმისწარმოების სამმართველოს მიერ რეგისტრირებულ კონკურსანტთა განაცხადებს და ადგენს შესაბამის ნუსხას. ნუსხას ხელს აწერს სამდივნოს თავმჯდომარე.

3.4. სამდივნოს მუშაობა ფორმდება სამდივნოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამდივნოს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

3.5. სამდივნო უზრუნველყოფს შემოსული განაცხადების სამეცნიერო საბჭოსთვის გაცნობას, კონკურსანტების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაბარებას, ფარული კენჭისყრის ჩატარების ორგანიზებას. ყველა ეტაპზე სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებების კონკურსანტებისთვის გაცნობას. სამდივნო აფორმებს სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმებს.

4. კონკურსის ეტაპები

4.1. სამეცნიერო საბჭომ ვაკანტურ სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანამდებობებზე კანდიდატების არჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებებს კონკურსის ყველა ეტაპზე იღებს ღია ან ფარული კენჭისყრით.

4.3. ფარული კენჭისყრის ჩატარებას ორგანიზებას უწევს სამდივნო.

4.4. სამეცნიერო საბჭო პირველ ეტაპზე განიხილავს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს და ღია ან ფარული კენჭისყრით ამტკიცებს:

ა) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და გადაყვანილ იქნენ მეორე ეტაპზე;

ბ) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და მოხსნილნი უნდა იქნან კონკურსიდან.

4.5. კონკურსის მეორე ეტაპზე, სამეცნიერო საბჭო, იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ატარებს გასაუბრებას.

4.6. გასაუბრების შემდეგ სამეცნიერო საბჭო ღია ან ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებებს კონკურსის მეორე ეტაპზე გადაყვანილი კონკურსანტების ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის ან არჩევაზე უარის თქმის შესახებ.

4.7. ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე გამარჯვებულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს სხდომაზე დამსწრე სამეცნიერო საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობას.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ვაკანტურ თანამდებობასთან დაკავშირებით, კონკურსის მეორე ეტაპზე ვერ გადავიდა ვერც ერთი კანდიდატი ან კენჭისყრით ვერ მოხერხდა ვაკანსიაზე გადაწყვეტილების მიღება, კონკურსი გამოცხადდება ჩაშლილად.

4.9. განაცხადების განხილვის და გასაუბრების შედეგები, სამეცნიერო საბჭოს წევრთა კომენტარებით, ასევე უარყოფითი გადაწყვეტილებების საფუძვლები, აისახება ოქმში.

4.10. სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსის ყველა ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებები ეცნობებათ კონკურსანტებს, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, მათ მიერ განაცხადებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე.

4.11. სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, კონკურსის შედეგებით, სხდომის დამთავრებისთანავე გადაეცემა დირექტორს.

4.12. სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი იღებს გადაწვეტილებას წარმოდგენილი კონკურსანტის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის ან დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

4.13. კონკურსის საბოლოო დასრულებამდე ყველა საკონკურსო დოკუმენტაცია ინახება სპეციალურად გამოყოფილ დაცულ ადგილას, ხოლო დირექტორის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ საკონკურსო მასალები გადაეცემა ინსტიტუტის არქივს.

5. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

კონკურსში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, კონკურსის პროცედურების, ეტაპებისა და შედეგების თაობაზე მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.